

საქართველოს სსრ.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და ზღვათა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის განყოფილება

1931 წ. აპრილის 18.

№ 6

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

17. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ.

## შ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

### 71. დადგენილებაჲ ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 9-ის დადგენილებით დამტკიცებული ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 57 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

#### I. ზოგადი დებულება.

1. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ შემდეგი ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები:
  - ა) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი;
  - ბ) ოთხფეხი საქონლის გადასახადი ქალაქად;
  - გ) სასტუმროში, რესტორანში და სისაღილოში დანახარჯის ანგარიშის გამოსაღები;
  - დ) ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღები;
  - ე). სანახაობისა და ვასართობის გადასახადი;
  - ვ) სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა გამოსაღები.

#### II. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი.

2. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი დაედება იმ ქვემოწამოთვლილ სატრანსპორტო საშუალებათ, რაც ეკუთვნის ფიზიკურ და კერძო იური-

დიულ პირთ: ა) საჯდომ, საეტლე და შესაბმელ ცხენს, რომელიც გამოიყენება საკუთარი საქირიოებისათვის; ბ) მგზავრთა სატარებლად გამოსაყენებელ ცხენს; გ) ტვირთის გადასაზიდად გამოსაყენებელ ცხენს, ხარს, კამენს, ჯორს, ვირს და აქლემს; დ) თვითმომძრავ ეკიპაჟს, ავტომობილს, მოტორიან ნავს და მოტოციკლეს; ე) ნავს, ბორანს და ველისაპედს.

3. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადის ზღვრული განაკვეთების დასაწესებლად საქართველოს სსრ სხვადასხვა ადგილები, მათი ეკონომიური ძალოვნების მიხედვით, დაიყოფა 4 კატეგორიად: პირველ კატეგორიას ეკუთვნის ქალ. ტფილისი, ბათომი და სოხუმი; მეორე კატეგორიას—ქალ. ქუთაისი და ფოთი; მესამე კატეგორიას—სხვა ქალაქები და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები; მეოთხე კატეგორიას—სოფელი.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული კატეგორიების ადგილებისათვის დაწესებულია სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადის შემდეგი ზღვრული განაკვეთები მანეთობით:

ობიექტების სახელწოდება	ადგილები			
	I კატ.	II კატ.	III კატ.	IV კატ.
1. თვითველ საჯდომ, საეტლე და შესაბმელ ცხენზე, რომელიც გამოიყენება საკუთარი საქირიოებისათვის . . . . .	200	175	150	100
2. მგზავრთა სატარებლად გამოსაყენებელ თვითველ ცხენზე:				
ა) მსუბუქი ეკიპაჟისათვის . . . . .	150	120	100	80
ბ) სხვა სატრანსპორტო საშუალებისათვის . . . . .	100	100	80	60
3. ტვირთის გადასაზიდად გამოსაყენებელ სატრანსპორტო საშუალებათაზე:				
ა) თვითველ ცხენზე ან ჯორზე . . . . .	100	100	80	60
ბ) თვითველ ხარზე, კამენზე, ვირზე ან აქლემზე . . . . .	60	40	30	20
4. მსუბუქი სამგზავრო ავტომობილისა და სამგზავრო იახტის თვითველ ძალაზე . . . . .	30	25	20	15
5. სატვირთო ავტომობილისა, სატვირთო კატერისა, მოტორიანი ნავისა და იახტისა და მოტოციკლეს თვითველ ძალაზე . . . . .	25	20	15	10
6. თვითველ ველისაპედზე . . . . .	20	18	15	10
7. თვითველ უმოტორო სამგზავრო ნავზე . . . . .	20	18	15	10
8. თვითველ ბორანსა და უმოტორო იახტზე . . . . .	125	100	60	30

5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლებათა:

ა) ნორმალოზრ სამუშაო ხანს მიულწეველი ცხოველი: ცხენი, ხარი, კამენი, ჯორი და ვირი 3 წლამდე და აქლემი 4 წლამდე;

ბ) იმ პირის სატრანსპორტო საშუალება, რომლის ძირითადი მოსაქმეობა სოფლის მეურნეობაა, უკეთეს სატარებლო რეწაობა მისთვის დახმარე ხასითათისა და ამ რეწაობას იგი ეწევა ისეთ ადგილას, სადაც შემოღებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგერა და, ამისთანავე, უკეთეს შთელი მისი შემოსავალი დაბეგერილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით; ხოლო უკეთეს იგი, თუნდაც სეზონობით, გადაიტანს სატარებლო რეწაობით მოსაქმეობას ისეთ ადგილას, სადაც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოღებული არ არის, მის სატრანსპორტო საშუალებას დაედება სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი;



გ) შრომის გმირის სატრანსპორტო საშუალება, უკეთუ იგი გამოიყენება შრომის გმირისა და მისი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის;

დ) მერივეთა და თავმჯდომათა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურისა (გრძელვადიან შევებულებაში მყოფთა გამოკლებით) და მისი ოჯახის ერთი ცხენი, უკეთუ იგი გამოიყენება მარტოოდენ საოჯახო საჭიროებისათვის, აგრეთვე ერთი პელოსიპედი;

ე) მილიციის მომუშავისა და მისი ოჯახის ერთი ცხენი, უკეთუ იგი გამოიყენება მარტოოდენ საოჯახო საჭიროებისათვის, აგრეთვე ერთი ველოსიპედი;

ვ) საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრის მოტოციკლეტი და ველოსიპედი, უკეთუ იგი გამოიყენება მარტოოდენ პატრონის პირადი საჭიროებისათვის;

ზ) იმ უცხოელი მოქალაქის ავტომობილი და მოტოციკლეტი, რომელიც წევრია უცხოეთის საავტომობილო საზოგადოებისა და იმყოფება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ავტომობილების მიმოსვლის თაობაზე დადებული პარიზის კონვენციის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 23 №-ი, მუხ 152 და 153), არა უხანგრძლივს 12 თვისა მოსვლის დღიდან, უკეთუ, ამასთანავე, სათანადო შეღავათი მინიჭებული აქვთ სსრკ-ის მოქალაქეთ იმ სახელმწიფოს კანონებით, რომლის მოქალაქეც აღნიშნული უცხოელია.

**III. ოთხფეხი საქონლის გადასახადი ქალაქად.**

6. ოთხფეხი საქონლის გადასახადი ქალაქად დაედება ქვემოთ ჩამოთვლილ შინაურ ოთხფეხ საქონელს, რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ და კერძო იურიდიულ პირთ: 1) ხარს, ძროხას და დეკულს—2 წლისაზე მეტი ხნისას; 2) დაკოდილ ხარს და კამეჩს—3 წლისაზე მეტი ხნისას; 3) ეირს და ჯორს—3 წლისაზე მეტი ხნისას და აქლემს—4 წლისაზე მეტი ხნისას.

**შენიშვნა 1.** ეს გადასახადი დაედება იმ შინაურ ოთხფეხ საქონელს, რომელიც სატარებლო რეწობაში არ გამოიყენება.

**შენიშვნა 2.** ესევე გადასახადი უნდა დაედეს აგრეთვე იმ შინაურ ოთხფეხ საქონელს, რომელიც სეზონობით მოირეკება არა სატარებლო რეწობაში ექსპლოატაციისათვის ისეთ ქალაქში, სადაც მოსახლეობა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება.

7. თითო სულ ოთხფეხ საქონელზე დაწესებულია აღნიშნული გადასახადის შემდეგი ზღვრული წლიური განაკვეთი მანეთობით:

- ა) ქალ. ტფილისსა, ბათუმსა და სოხუმში . . . . . 24 მან.
- ბ) ქალ. ქუთაისსა და ფოთში . . . . . 20 მან.
- გ) სხვა ქალაქებში . . . . . 10 მან.

8. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ აღნიშნული გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთები მე-7 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთების ფარგლებში, გადასხდელთა სოციალური მდგომარეობისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით.

9. ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან ქალაქად განთავისუფლდება:

- ა) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრული ოთხფეხი საქონელი;

ბ) შრომის გმირის ოთხთეხი საქონელი, რომელიც გამოიყენება მარტოოდენ შრომის გმირისა და მისი ოჯახის პირადი საქიროებისათვის;

გ) მიერგეთა და თემდგომთა საკადრო შედგენლობის სამხედრო მსახურისა (გრაძელვადიან შევებულბებაში მყოფთა გამოკლებით) და მისი ოჯახის ოთხთეხი საქონელი—ერთი სული.

დ) შილიციის მომუშავეისა და მისი ოჯახის ოთხთეხი საქონელი—ერთი სული.

#### IV. სასტუმროში, რესტორანში და სასადილოში დანახარჯის ანგარიშის გამო-საღები.

10. სასტუმროში, რესტორანში, სასადილოში და სხვა ამგვარ საწარმოში გაწეული სხვადასხვა მომსახურებისათვის და საქმლისა და სასმლის მოხმარებისათვის წარდგენილ ანგარიშს გამოსაღები დაედება ანგარიშის თანხის პროცენტული ზედნართის სახით.

11. ეს გამოსაღები დაერიცხება: ა) ისეთ ანგარიშს, რომლის თანხაც სასტუმროს ერთი სტუმრისათვის დღე-ღამეში გაწეული ყოველგვარი მომსახურებისათვის ნაკლები არ არის: ქალ. ტფილისსა, ბათომსა და სოხუმში—5 მანეთზე; ქალ. ქუთაისსა და ფოთში—4 მანეთზე, ხოლო სხვა ადგილებში—3 მანეთზე; ბ) ისეთ ანგარიშს, რომლის თანხაც ერთი სტუმრის მიერ რესტორანსა, სასადილოსა და სხვა ამგვარ საწარმოში, სადაც იძლევიან მაგარ სასმელებს, როგორც არის ღვინო, არაყი, კონიაკი, ლუდი და სხვ., მოხმარებული საქმელ-სასმლისათვის ნაკლები არ არის: ქალ. ტფილისსა, ბათომსა და სოხუმში—3 მანეთზე, ქალ. ქუთაისსა და ფოთში—2 მან. და 50 კაპიკზე, ხოლო სხვა ადგილებში—2 მანეთზე.

შენიშვნა. ხსენებული გამოსაღები დაედება ზემოაღნიშნულ ზღვრულ—თანხებიან ანგარიშსაც.

12. გამოსაღები განისაზღვრება ანგარიშის მთელი თანხის 15<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ის რაოდენობით და გადახდილ უნდა იქნეს ანგარიშის გასტუმრებასთან ერთად.

13. საზღვარგარეთიდან მოსული უცხოელნი აღნიშნულ გამოსაღებს იხდიან ა) ისეთ ანგარიშზე, რომლის თანხაც სასტუმროს ერთი სტუმრისათვის დღე-ღამეში გაწეული ყოველგვარი მომსახურებისათვის ნაკლები არ არის: ქალ. ტფილისსა, ბათომსა და სოხუმში—7 მანეთზე, ხოლო დანარჩენ ადგილებში 5 მანეთზე; ბ) ისეთ ანგარიშზე, რომლის თანხაც ერთი სტუმრის მიერ რესტორანსა, სასადილოსა და სხვა ამგვარ საწარმოში, სადაც იძლევიან მაგარ სასმელებს, მოხმარებული საქმელ-სასმლისათვის ნაკლები არ არის: ქალ. ტფილისსა, ბათომსა და სოხუმში—4 მანეთზე, ხოლო დანარჩენ ადგილებში—3 მანეთზე.

14. ამ გამოსაღებისაგან განთავისუფლდება ისეთი რესტორანისა, სასადილოს და სხვა ამგვარი საწარმოს ანგარიში, რომელიც მაგარ სასმელებს არ იძლევა.

15. აღნიშნული გამოსაღების გადახდევინება დაეკისრება საწარმოს გამგეს და პატრონს, რომელიც მოვალეა სასტუმროში გაწეული მომსახურებისათვის და აგრეთვე რესტორანსა, სასადილოსა და სხვა ამგვარ საწარმოში მოხმარებული საქმელ-სასმლისათვის სასაიდელი მე-11 და 13 მუხლებში აღნიშნული თანხების რაოდენობისა გადახდევინოს მარტოდენ ანგარიშის წარდგენით.



16. უკეთეს საწარმოს გამგე და პატრონი არ გადაახდევინებს დანახარჯის ანგარიშის გამოსალბებს ან გადაახდევინებს ხედრ გამოსალბებზე ნაკლებს, მას დაედება ფულადი გადასახდელი არა უმეტეს გადაუხდელი ან დანაკლისი გამოსალბების თიხნისა ოკდაათჯერადი რაოდენობით.

**V. ფებზე ვაქრობის თითოჯერითი გამოსალბები.**

17. ფებზე ვაქრობის თითოჯერითი გამოსალბები დაედება მიწაზე ვაქრობას, ქუჩებში ტარებით და ზიდვით, მოედნებზე და ბაზრებზე, რკინის ვჯის სადგურებზე და ნავსაყუდებზე ან სხვა ადგილას ვაქრობას, როგორც ქალაქად, ისე ქალაქს გარედ, უკეთეს ასეთი ვაქრობის მწარმოებელს არ აქვს რეწობის სათანადო დოკუმენტი (სარევისტრაციო განცხადების შემოწმებული ასლი).

**შენიშვნა.** ფებზე ვაქრობის თითოჯერითი გამოსალბების გადახდა არ ანთავისუფლებს იმ პირს, რომელიც ვაქრობას მიწაზე, ტარებით და ზიდვით სისტემატიურად ეწევა, სარეწაო გადასახადისაგან და იმ ჯარიმისაგან, რაც დაწესებულია სარეწაო დოკუმენტის უქონლად ვაქრობისათვის.

18. ფებზე ვაქრობის თითოჯერითი გამოსალბები დაწესებულია:

1) მიწაზე ვაქრობისათვის და ტარებით ვაქრობისათვის (ხელით, თაფხით, კალათით და სხვა სათავსით, რაც დააქვს ან რასაც ზიდავს, მთელ საქონელთან ერთად, ერთი კაცი)—თვითეული დღის განმავლობაში არა უმეტეს შინამრეწველთა და ხელოსანთათვის დადგენილი I კატეგორიის სარეწაო გადასახადის წლიური მტკიცე განაკვეთის 3%-ისა, სახელდობრ:

- ა) ქალ. ტფილისში . . . . . 75 კაპ;
- ბ) ქალ. ბათუმსა, სოხუმსა და ქუთაისში . . . . . 60 კაპ;
- გ) სხვა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას . . . . . 40 კაპ;
- დ) სოფლად . . . . . 20 კაპ;

2) ზიდვით ვაქრობისათვის (ურემზე, საზიდაეზე და სხვა, დამზარე ძალით გადასახიდ სათავსში)—თვითეული დღისთვის არა უმეტეს შინამრეწველთა და ხელოსანთათვის დადგენილი მე-II კატეგორიის სარეწაო გადასახადის წლიური მტკიცე განაკვეთის 3%-ისა, სახელდობრ:

- ა) ქალ. ტფილისში . . . . . 2 მან;
- ბ) ქალ. ბათუმსა, სოხუმსა და ქუთაისში . . . . . 1 მან და 50 კაპ;
- გ) სხვა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას . . . . . 1 მან;
- დ) სოფლად . . . . . — 50 კაპ;

3) გასაყიდად მორეკილ საქონელზე—თვითეულ სულზე არა უმეტეს შინამრეწველთა და ხელოსანთათვის დადგენილი მე-III კატეგორიის სარეწაო გადასახადის წლიური მტკიცე განაკვეთის 3%-ისა, სახელდობრ:

- ა) ქალ. ტფილისში . . . . . 3 მან;
- ბ) ქალ. ბათუმსა, სოხუმსა და ქუთაისში . . . . . 2 მან და 50 კაპ;
- გ) სხვა ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას . . . . . 1 მან და 50 კაპ;
- დ) სოფლად . . . . . — 75 კაპ.

19. ფეხზე ვაქრობის თითოჯერითი გამოსაღებისაგან განთავისუფლდება:

ა) ის პირი, რომელიც ვაქრობს დადგენილი სარეწაო დოკუმენტით;

ბ) ის გლეხი, რომელიც ჰყიდის თავისი მეურნეობის სასურსათო პროდუქტებს;

გ) ის გლეხი, რომელიც ჰყიდის თავისი შრომით მოპოვებულ სოკოს, ხმლის ყვავილს, თევზს და ნანადირევს;

დ) ის გლეხი, რომელიც ჰყიდის თავის მიერ ან მისი ოჯახის მიერ უშუალოდ დამზადებულ შემას და ნახშირს, უკეთუ მას აქვს სამორე სასყიდლის გადახდის ქვითარი;

ე) ის გლეხი, რომელიც ჰყიდის თავის ოთხფეხ საქონელს, უკეთუ მას აქვს სათანადო სასოფლო საბჭოს მოწმობა, რომ ეს საქონელი მას ეკუთვნის;

ვ) სოფლის შინამრეწველი, რომელიც ჰყიდის თავისი წარმოების ნაყოფობას, უკეთუ მას აქვს საგადასახადო ორგანოს მოწმობა;

ზ) მიწაზე ვაქრობის ან ტარებით ვაქრობის მწარმოებელი ინვალიდი, რომელსაც აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება ან სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის უფლება, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს აღნუსხვაზე მყოფი უსინათლო და ყრუ-მუნჯი.

## VI. სანახაობისა და გასართობის გადასახადი.

20. სანახაობისა და გასართობის გადასახადი გადაჰხდებათ ქალაქად, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას, აგარაკზე და კურორტზე გამართულ ფასიან გასართობსა და სანახაობაზე მიმსჯელ პირთ შესასვლელი ბილეთის ფასის პროცენტული ზედნართის ან განსაკუთრებულად დადგენილი განაკვეთის სახით.

21. სანახაობისა და გასართობის გადასახადისათვის დაწესებული შემდეგი მტკიცე განაკვეთები:

ა) სადრამო, საოპერო (მათ რიცხვში კომიკური ოპერისაც) და საბალეტო წარმოდგენისათვის, სიმფონიური აღსრულებისათვის, სამხატვრო და სხვა გამოფენისათვის—ბილეთის ფასის—10%;

ბ) კონცერტისათვის, ლიტერატურული და მუსიკალური დილა-სალამოსათვის—ბილეთის ფასის—15%;

გ) სასპორტო შეჯიბრებისათვის, საზოგადოებრივი სათამაშოსათვის, ცირკისა და მექანიკური თეატრისათვის (კინემატოგრაფის გამოკლებით)—ბილეთის ფასის—20%;

დ) კინემატოგრაფისათვის—ბილეთის ფასის—15%;

ე) მსუბუქი ენრის სანახაობისათვის (ოპერეტი, მსუბუქი კომედია, ფარსი, კაბარე, მინიატურა და სხვ. ანგვ.)—ბილეთის ფასის—60%;

ვ) მსუბუქი ენრის სანახაობისათვის (შავიღებით და ისეთი საწარმოსათვის, სადაც იმართება ლოტოს თამაში—თითო შემსვლელზე—30 კაპ.;

ზ) მასკარადისა და საცეკვაო სალამოსათვის—ბილეთის ფასის—100%;

თ) რბენისა და დოლისათვის—ბილეთის ფასის—30%;

ი) რბენისა და დოლისათვის ტოტალიზატორით—ბილეთის ფასის—70%.

22. გადასახადი საჯარო სანახაობასა და გასართობზე მიმსვლელს გადა-  
 ჰბდება შესასვლელი ბილეთის ფასთან ერთად, განუყოფელად.

23. გადასახადისაგან განთავისუფლდებიან შემდეგ გასართობსა და სანა-  
 ხაობაზე მიმსვლელნი:

ა) მუზეუმში;

ბ) სამეცნიერო ხასიათის ლექციაზე და გამოფენაზე;

გ) სახელმწიფო აკადემიურ თეატრსა და ცირკში, რომელიც საქართველოს  
 სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბ-  
 ლიკებში და ავტონომიურ ოლქში—სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი  
 კომიტეტის, დადგენილებით ცნობილ იქნება აკადემიურ თეატრად და ცირკად;

დ) წითელარმიელთა თეატრსა და მუშა-ახალგაზრდობის თეატრში;

ე) კონცერტზე, რასაც გამართავს საქართველოს სსრ განათლების სახალ-  
 ხო კომისარიატის ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორთან არსებულ სა-  
 მხატვრო-მასიურ სანახაობათა სამმართველო („სამასო“);

ვ) ამა თუ იმ სანახაობაზე, რომელსაც აქვს პოლიტიკურ-განმანათლებელი  
 მნიშვნელობა, კერძოდ—ისეთ კინო-სენსზე, როდესაც აჩვენებენ მარტოოდენ  
 პოლიტიკურ-განმანათლებელი ხასიათის ფილმებს, რომელთა სისაც დაადგენს  
 საქართველოს სსრ თინანსთა სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ განათ-  
 ლების სახალხო კომისარიატთან და სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა  
 და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან შეთან-  
 ხმებით, ან და როდესაც აჩვენებენ ქრონიკას;

ზ) ისეთ დახურულ სანახაობასა და გასართობზე, რაც იმართება სამხე-  
 დრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის;

თ) ისეთ დახურულ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ მუშა-  
 მოსამსახურეთა და პრაფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციები მარტოოდენ  
 თავიანთი წევრებისა და მათი ოჯახებისათვის;

ი) საეკიალურად ბავშვებისათვის გამართულ სანახაობაზე;

კ) ამა თუ იმ სანახაობაზე, რაც იმართება სკოლაში, სავადმყოფოში,  
 თავშესაფარში და თავისუფლების აღკვეთის ადგილას—მოსწავლეთათვის, ავად-  
 მყოფთათვის, შვერდომილთათვის და დაპატიმრებულთათვის;

ლ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ უპატრონო ბავ-  
 შების დამხმარე კომისიები, მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

მ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ სრულიად საქარ-  
 თველოს ყოფი-მუნჯთა შენაერთი და სრულიად საქართველოს უსინათლოთა შე-  
 ნაერთი მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

ნ) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავენ გლეხთა სახლები,  
 მეწარმე-ანტრეპრენიორების უმონაწილეოდ;

ო) ისეთ სანახაობასა და გასართობზე, რასაც მართავს საერთაშორისო  
 წითელი სტადიონის მშენებელთა საზოგადოება, წითელი სტადიონის ტერიტო-  
 რიის გარეშე მყოფი კინო-თეატრების გამოკლებით;

პ) ისეთ სასპორტო-საჩვენებელ სანახაობაზე, რასაც მართავენ ფიზკულტუ-  
 რის რესპუბლიკანური, სარაიონო და საქალაქო საბჭოები, პროფესიონალურ  
 კავშირთა სასპორტო დაწესებულებები და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის  
 სასპორტო დაწესებულებები;

ამის გარდა განთავისუფლდებიან:

ე) უფასო ბილეთები და შესასვები ბარათები (კონტრამარკები), რასაც  
 კულტმეფომის წესით დაურიკებენ სამხედრო მსახურთ და მათ ოჯახებს ხელოვ-

ნების მომუშავეთა კავშირის სრულიად საკავშირო ცენტრალური გამგეობის განყოფილებანი.

24. თასიანი სანახაობის და გასართობის პასუხისმგებელ გამგეს, რომელიც შეუშვებს მიწვეულს—მისი ხვედრი გადასახადის გადაუხდევინებლად ან გადაახდევინებს დადგენილ გადასახადზე ნაკლებს, დაედება ფულადი გადასახდელი არა უმეტეს გადაუხდელი თუ დანაკლისი გადასახადის თანხისა ოცდაათიჯერადი რაოდენობით.

25. სანახაობისა და გასართობის გადასახადით შემოსული თანხებიდან (როგორც ძირითადი გადასახადისა, ისე ჯარიმისა) 60% ჩაირიცხება სათანადო საბჭოს ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო 40%—სრულიად საქართველოს წითელი ჯურის და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე.

### VII. სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არქონე პირთა გამოსაღები.

26. სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ და გადაახდევინონ ადგილობრივი გამოსაღები იმ პირთ, ვისაც უფლება არა აქვს შეასრულოს სოფლის აღმასრულებლის მოვალეობა, საარჩევნო უფლების ჩამორთმევის გამო.

27. ამ გამოსაღების განაკვეთი განისაზღვრება არა უმეტეს, ვიდრე 30 მანეთის რაოდენობით თვითიული პირისათვის, უკეთეს ამა თუ იმ სოფელში სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის აღსრულება დაწესებულება ალსრულება დაწესებულება ორი თვის ვადით; ხოლო იმ სოფელში, სადაც სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის აღსრულება დაწესებულება ორ თვეზე ნაკლები ვადით, გამოსაღების რაოდენობა სათანადოდ შემცირდება 7 მანეთის და 50 კაპიკის ვარაუდით თვითიული ორი კვირის განმავლობაში სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის შესრულებისათვის.

28. ეს გამოსაღები გადაჰხდება გამამხდელს, როდესაც დადგება მისი რიგი სოფლის აღმასრულებლის მოვალეობის შესრულებისა.

### VIII. ინსტრუქციები ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ დადგენილების შეფარდებისათვის.

29. ინსტრუქციებს ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს, ქვემოაღნიშნული გამონაკლისით, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ინსტრუქციებს სანახაობისა და გასართობის გადასახადის შესახებ დადგენილების შეფარდებისათვის (კარი VI) გამოსცემს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან (ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში—სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან) და სრულიად საქართველოს წითელი ჯურისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი ხ. თოდრაძე.

1931 წ. აპრილის 3.

ტფილისა.